

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ნიკო მუსხელიშვილის სახელობის
გამოთვლითი მათემატიკის
ინსტიტუტის

2012 წლის

სამეცნიერო ანგარიში

შინაარსი

შესავალი.....	3
თავი 1. საბიუჯეტო სამუშაო პროგრამა.....	6
თავი 2. გრანტები.....	7
თავი 3. სამეცნიერო შედეგების მოკლე აღწერა.....	9
გამოთვლითი მეთოდების განყოფილება.....	9
აღბათურ - სტატისტიკური მეთოდების განყოფილება.....	14
მათემატიკური მოდელირების განყოფილება.....	19
პროგრამირებისა და ინფორმატიკის განყოფილება.....	24
თავი 4. მივლინებები.....	29
თავი 5. დამატებითი ინფორმაცია.....	30
დანართი 1. 2012 წელს გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებლად გადაცემული ნაშრომები.....	33
დანართი 2. 2012 წელს საზღვარგარეთ და საქართველოში გამართულ სამეცნიერო ფორუმებზე წაკითხული მოხსენებები.....	40
დანართი 3. გრანტების ჩამონათვალი.....	45

შესავალი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში ამჟამად ფუნქციონირებს 4 სამეცნიერო განყოფილება და კომპიუტერული ცენტრი. 2012 წლის ბოლოს ინსტიტუტში მუშაობდა 66 თანამშრომელი. აქედან სამეცნიერო თანამდებობა უჭირავს 35-ს, რომელთაგან 12 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელია, 9 – უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 14 – მეცნიერ-თანამშრომელი. ინსტიტუტის თანამშრომლებიდან ერთი არის საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, 12 მეცნიერებათა დოქტორია, 24 – მეცნიერებათა კანდიდატი.

საანგარიშო წლის განმავლობაში: გამოქვეყნებულია 43 სტატია; იბეჭდება 2 მონოგრაფია და 15 სტატია; მომზადებულია გამოსაქვეყნებლად 2 სტატია (იხ. დანართი 1).

საანგარიშო პერიოდში ინსტიტუტში მუშავდებოდა: შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 1 სახელმწიფო-სამეცნიერო საგრანტო პროექტი; ორი თანამშრომელი მონაწილეობდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული 2 სახელმწიფო-სამეცნიერო საგრანტო პროექტში. ინსტიტუტის ერთმა თანამშრომელმა მიიღო საერთაშორისო ინდივიდუალური გრანტი. ინსტიტუტი, როგორც სტუ-ს წარმომადგენელი, იყო კოორდინატორი ევროკავშირის მე-7 ჩარჩო-პროგრამის საგრანტო პროექტის №266155, GEO-RECAP, (2010-2012) (იხ. თავი 2 და დანართი 3).

ინსტიტუტის თანამშრომლებმა საანგარიშო წელს მონაწილეობა მიიღეს და 19 მოხსენებით გამოვიდნენ 10 საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელთაგან 6 ჩატარდა საზღვარგარეთ; 4 მოხსენება გაკეთდა 4 ადგილობრივ კონფერენციაზე (იხ. დანართი 2).

ინსტიტუტის 6 მეცნიერ-თანამშრომელი მივლინებული იყო საზღვარგარეთის ქვეყნებში 7 საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად (იხ. თავი 4).

ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ალექსანდრე ლაშხის რედაქტორობით გამოქვეყნდა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის 5 ნომერი; ინსტიტუტის

თანამშრომლებმა ოპონირება გაუწიეს 4 სადოქტორო (აკადემიური ხარისხი) დისერტაციას; ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი გიორგი ჭელიძე იყო 2012 წლის მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდის ლიდერი; ინსტიტუტის თანამშრომლებმა ორგანიზება გაუკეთეს 2 საერთაშორისო ღონისძიებას (იხ. თავი 5).

თავი 1. საბიუჯეტო სამუშაო პროგრამა

გამოთვლითი მეთოდების განყოფილება

თემა: ზოგიერთი კლასის ორიენტირებული მიახლოებითი სქემები და რიცხვითი ექსპერიმენტი

(თემის ხანგრძლივობა – 4 წელი, 2011-2014, II ეტაპი, 2012 წელი)

1. სააპროქსიმაციო სქემები კოშის ტიპისა და შესაბამისი სინგულარული ინტეგრალებისათვის. მათი გამოყენების ძირითადი კრიტერიუმები.
2. ჰარმონიულ და ბიჰარმონიულ ფუნქციათა კლასებთან დაკავშირებული გარკვეული სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი ამოხსნის ორიენტირებული რიცხვითი ალგორითმები სხვადასხვა ტიპის კონკრეტული არეებისათვის.
3. ფენოვან გარსთა თეორიის არაწრფივი დეფორმაციის ამოცანების ამოხსნის ზოგიერთი ალგორითმის აგებისა და რეალიზაციის საკითხები.
4. არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა ალგებრული თეორიის საკითხები.
5. კვანტური ველის პრობლემატიკასთან დაკავშირებული ზოგიერთი კლასის ამოცანები.

ალბათურ-სტატისტიკური მეთოდების განყოფილება

თემა: ალგებრულ სტრუქტურებში ალბათურ - სტატისტიკური ამოცანები

(თემის ხანგრძლივობა – 4 წელი, 2011-2014, II ეტაპი, 2012 წელი)

1. უპირობოდ და დიაგონალურად კანონიკური გაუსის შემთხვევითი ელემენტები.
2. შემთხვევითი მწკრივების კრებადი გადანაცვლებების არსებობის საკითხების შესწავლა. გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და განრიგების თეორიაში.
3. სტოქასტური ტიპის რიმან-სტილტესის ინტეგრალის კვლევა უსასრულოგანზომილებიან შემთხვევაში.

მათემატიკური მოდელირების განყოფილება

თემა: სოციალური და ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მოდელირება და შესაბამისი გამოთვლითი მეთოდებისა და ოპტიმალური ალგორითმების დამუშავება.

(თემის ხანგრძლივობა – 4 წელი, 2011-2014, II ეტაპი, 2012 წელი)

1. საბაზრო ეკონომიკის ზოგიერთი ამოცანის მათემატიკური მოდელის დამუშავება თამაშთა თეორიის ჩარჩოებში.
2. მარაგთა მართვის ერთი მრავალარხიანი ამოცანის მათემატიკური მოდელის დამუშავება.
3. აგროსამრეწველო ინტეგრირებული ფორმირებების ოპტიმალური ფუნქციონირების ეკონომიკური მათემატიკური მოდელისა და მათი რეალიზების შესაბამისი ალგორითმების დამუშავება.
4. გარემოს დაბინძურებისა და გულისხმადარღვთა დაავადებების კორელაციური და რეგრესიული კავშირების გამოკვლევა მონიტორინგის ახალი სტატისტიკური მასალის საფუძველზე.
5. კრიპტოგრაფიული ამოცანების კვლევა ელიფსური წირების თეორიის მეთოდებით.
6. განზოგადებულად ცენტრალური ალგორითმების აგება არაკორექტული და კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანებისათვის.

ინფორმატიკის განყოფილება

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების კვლევა და დამუშავება

(თემის ხანგრძლივობა – 4 წელი, 2011-2014, II ეტაპი, 2012 წელი)

1. თანამედროვე ფუნქციონალური პროგრამების სპეციფიკაციის საკითხები.
2. ელიფსური წირების თეორიულ-რიცხვითი ასპექტები.
3. მარკოვის ტიპის სისტემების აგრეგირების საკითხები.
4. სიმეტრიული დაშიფვრის კრიპტოგრაფიული სისტემები.
5. კონფლიქტების მართვის ზოგადი ინფორმაციული მოდელები (2 წელი).
6. მათემატიკური ფიზიკის ამოცანების ამოხსნის პარალელური ალგორითმები.

თავი 2. გრანტები

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები

მიმდინარე პროექტები

1. პროექტი GNSF/FT09_99_3-104: “ალბათური განაწილებების დახასიათების ამოცანები და მათი გამოყენებები”. ხელმძღვანელი – ვ. ტარიელაძე. ძირითადი შემსრულებლები: ვ. კვარაცხელია (მენეჯერი), ნ. ვახანია, ბ. მამფორია, გ. ჭელიძე. <http://217.147.224.46/PUBLIC2009/default.aspx>
2. პროექტი GNSF/FR/507/4-150/11: "ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის (სტრუქტურული მართვის) ახალი ნახევრადმარკოვული მოდელები". ძირითადი შემსრულებელი მ. მენტეშაშვილი, კონსულტანტი ჰ. ელაძე. 2012–2014

2012 წელს დასრულებული პროექტები

3. პროექტი GNSF/ST08/3-384: “მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და დაგეგმვის თეორიაში”. ხელმძღვანელი – ს. ჩობანიანი. ძირითადი პერსონალი: ა. შანგუა (მენეჯერი), ლ. ჩობანიანი, ვ. ტარიელაძე, გ. გიორგობიანი. პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://gnsf.dynup.net/PUBLIC2008/default.aspx>
4. პროექტი GNSF/ST08/3-390: “სინგულარული ინტეგრალების აპროქსიმაციისა და ფუნდამენტურ ამოხსნათა მეთოდების გამოყენების შესახებ ზოგიერთი კლასის სასაზღვრო ამოცანების მიახლოებით ამოხსნებში”. ხელმძღვანელი – ჯ. სანიკიძე. ძირითადი პერსონალი: მ. ზაქრაძე (მენეჯერი), გ. ქუთათელაძე, მ. მირიანაშვილი. პროექტის ხანგრძლივობა – 3 წელი. <http://gnsf.dynup.net/PUBLIC2008/default.aspx>

საერთაშორისო გრანტები

1. ევროკავშირის გრანტი FP7 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში: “Re-creation and building of capacities in Georgian ICT Research Institutes” (GEO-RECAP).2010-2012. FP7 Capacities Work programme 2010; Activity 7.6. Area INCO.2010-6.1: Eastern Europe and South Caucasus. Project N° 266155. <http://www.georecap.eu>
2. ს. ჩობანიანი. ინდივიდუალური გრანტი ISET-ში (International School of Economics at Tbilisi State University) ლექციების კურსის წასაკითხად. დონორი ორგანიზაცია: The Partnership for Economics, Education and Research Consortium.

თავი 3. სამეცნიერო შედეგების მოკლე აღწერა

გამოთვლითი მეთოდების განყოფილება

(განყოფილების გამგე – მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჯ. სანიკიძე**)

განყოფილების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა აღნიშნულ პერიოდში გეგმით გათვალისწინებული ძირითადი საკითხების ირგვლივ მიმდინარეობდა განყოფილების პროფილისათვის დამახასიათებელი ტრადიციული განხილვების ფონზე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული და, შესაბამისად, გამოყენებითი თვალსაზრისით. ზოგადად აღნიშნული კვლევა მოიცავდა ისეთ საკითხებს, როგორც კომპლექსური ცვლადის ფუნქციათა თეორიის სხვადასხვა სახის სასაზღვრო ამოცანების ამოხსნის მიახლოებითი (ზოგ შემთხვევაში ზუსტი) სქემების კონსტრუირებისა და რეალიზაციის პროცესების შესწავლა (რაც მათი დაფუძნებადობის, სიზუსტისა და მდგრადობის თვალსაზრისით განიხილებოდა); მათ შორის შეიძლება აღვნიშნოთ დრეკადობის თეორიის კონკრეტულ ამოცანებზე ორიენტირებული სქემები.

1. საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა როგორც დასრულებული, ასევე ზოგიერთი გარდამავალი ხასიათის შედეგები. კერძოდ, განიხილებოდა კოშის გულიანი სინგულარული ინტეგრალური ოპერატორების აპროქსიმაციისა და მათი გამოყენების საკითხები. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო სინგულარული ინტეგრალების მიახლოებით გამოთვლის ისეთ პროცესებს, როდესაც შესაბამისი კვადრატურული ფორმულების გამოყენების პროცესში მათი კვანძების თანმიმდევრობით ზრდა (სიზუსტის გაზრდის მიზნით) საშუალებას იძლევა წინა ბიჯებზე გამოთვლილი სიმკვრივის მნიშვნელობების გარკვეული სიმრავლე თავიდან იქნას გამოყენებული, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს გამოთვლითი პროცესების მოცულობას და, მეორეს მხრივ, გამოთვლების სიზუსტის კონტროლის ეფექტურ კრიტერიუმს წარმოადგენს. მიღებულია აპროქსიმაციის ცდომილების გარკვეული აზრით ზუსტი შეფასებები ისეთ ფუნქციათა კლასებზე, რომელთა მოცემული რიგის წარმოებულები განსახილავი ინტეგრების სეგმენტზე წარმოადგენენ

სასრულო ვარიაციის ფუნქციებს. აქვე უნდა აღინიშნოს, მეორე მხრივ, რომ მიუხედავად მიღებული შეფასებების ზემოთ აღნიშნული ეფექტურობისა (რაც შესაბამისი კონსტანტების ზუსტი გამოთვლის ან შეფასების შესაძლებლობებში გამოიხატება), გამოსაკვლევი რჩება ფუნქციათა განსახილავ კლასებზე რიგობრივი შეფასების მიღების საკითხი (ეს უკანასკნელი შემდგომში ცალკე გამოკვლევებს მოითხოვს). აღნიშნული მიმართულებით მიღებული შედეგები საანგარიშო წელს გამოქვეყნებულია. ასევე გამოქვეყნდა მიმდინარე წელს კომის ტიპის ინტეგრალუბის თანაბარი აპროქსიმაციის საკითხებთან დაკავშირებული ზოგიერთი შედეგი, რომელთა ირგვლივ კვლევები წინა წლებშიც მიმდინარეობდა და მიღებული იყო გარკვეული საწყისი შედეგები ამ თვალსაზრისით. ეს საკითხები ასევე განყოფილების ტრადიციული თემატიკის ფარგლებში მოიაზრება. ზოგიერთი მათ შორის მოხსენებული იყო სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციაზე (იხ. დანართი 1, [1, 2]; დანართი 2, [1]).

2. საანგარიშო პერიოდში შესრულებული იქნა დრეკადობის თეორიის პრობლემებთან დაკავშირებული ზოგიერთი სამუშაო, დაკავშირებული კომპოზიტური მასალების გამოყენების პრობლემატიკასთან. განხილულია შემთხვევა, როდესაც სხვადასხვა იზოტროპული მასალისაგან შედგენილ ძელს გააჩნია ერთი და იგივე პუასონის კოეფიციენტი. ამ მიმართულებით n -შრიანი ცილინდრული სხეულის შემთხვევაში მიღებულ ალგებრულ განტოლებათა სისტემისათვის დამტკიცდა შესაბამისი დეტერმინანტის ნულისაგან განსხვავებულობა, რისი გამოყენებითაც ამოიხსნა დასმული შესაბამისი ამოცანა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული შედეგები გადაცემულია გამოსაქვეყნებლად (იხ. დანართი 1, [35]).

3. განყოფილების ტრადიციულად განხილვად პრობლემებს აგრეთვე მიუკუთვნება ჰარმონიულ ფუნქციათა თეორიის ზოგიერთი სასაზღვრო ამოცანის მიახლოებით ამოხსნის საკითხები, ძირითადად იმ მეთოდების გამოყენების ბაზაზე, რომლებიც წლების განმავლობაში მუშავდებოდა ინსტიტუტში. (შესაბამისი მეთოდები, როგორც გამოკვლევები აჩვენებს, გარკვეული აზრით ეფექტური აღმოჩნდა როგორც ბრტყელი, ასევე სამგანზომილებიანი ამოცანების მიახლოებით ამოხსნისათვის). კერძოდ, საანგარიშო წელს განიხილებოდა ე.წ. განზოგადებული (სასაზღვრო პირობების ტერმინებში) ამოცანების ამოხსნის საკითხებთან დაკავშირებული მიახლოებითი სქემების რეალიზაციის პროცესების შესწავლა. ამ მი-

მართულებით დამუშავდა ზოგიერთი კონკრეტული სქემა. შესაბამისი შედეგები წარმოდგენილი იქნა სამეცნიერო სტატიების სახით (იხ. დანართი 1, [3, 4]).

4. განყოფილებისათვის ერთ-ერთ ტრადიციულ თემას ასევე წარმოადგენს არაწრფივ გარსთა თეორიის გარკვეული საკითხები. განხილულია ორთოტროპიული მასალისაგან შედგენილი ფენოვანი ცილინდრული გარსების გეომეტრიულად არაწრფივი დეფორმაციის ამოცანები. ცილინდრული გარსების ღერძ-სიმეტრიული დეფორმაციის ამოცანების შესასწავლად მიღებულია ამ კლასის ამოცანების ამომხსნელი არაწრფივ დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა, სადაც გათვალისწინებულია გარსის სისქის გასწვრივ ძელის დეფორმაციის არაერთგვაროვნება. აგებულია ალგორითმი აღნიშნული კლასის ამოცანების რიცხვითი რეალიზაციისათვის. განხილულია კერძო მაგალითი ცილინდრული გარსის დეფორმაციის ამოცანისა. ამ მაგალითის შესაბამისი სასაზღვრო ამოცანის რიცხვითი რეალიზაციით მიღებული შედეგების საფუძველზე ჩატარებულია სათანადო ანალიზი. შესაბამისი თემატიკის ფარგლებში მიმდინარე წელს გამოქვეყნდა ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მიეძღვნა აღნიშნული კლასის გარსების დეფორმაციის საკითხებს (იხ. დანართი 1, [4, 5]).

5. საანგარიშო პერიოდში კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობდა კვანტური ფიზიკის, სპინორული და გრავიტაციული ველის პრობლემატიკასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ (იხ. დანართი 1, [10, 11, 41]). კვლევები გრძელდებოდა ზოგადი სახის ავტონომიურ განტოლებათა ალგებრულ-გეომეტრიული თვისებების შესწავლის მიმართულებითაც. აქ იგულისხმება, როგორც ჩვეულებრივი, ასევე კერძო წარმოებულებიანი განტოლებათა სისტემები. ამ მიმართულებით ნავარაუდებია მონოგრაფიის მომზადება.

6. საანგარიშო წელს მიმდინარეობდა მეორე რიგის კერძოწარმოებულებიანი კვაზიწრფივი გადაგვარებადი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის საწყისი და მახასიათებელი ამოცანების გამოკვლევა. მეორე რიგის კერძოწარმოებულებიანი კვაზიწრფივი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის, რომლისთვისაც დასაშვებია ტიპის და რიგის გადაგვარება, ორგანოზომილებიან შემთხვევაში შესწავლილია კოშის და გურსას ამოცანები. ორივე ტიპის ამოცანებისათვის დადგენილია ამონახსნის არსებობისა და ერთადერთობის საკმარისი პირობები და ამონახსნის განსაზღვრის არის სტრუქტურა.

ასევე შესწავლილია კოშის ამოცანა ჩაკეტილ მზიდზე მეორე რიგის კერძოწარმოებულებიანი კვაზიწრფივი გადაგვარებადი ჰიპერბოლური განტოლებებისათვის. გამოკვლეული და აღწერილია ამონახსნის განსაზღვრის არის სტრუქტურა. დადგენილია საკმარისი პირობები ისეთი ქვეარეების არსებობისათვის, რომლებშიც ვერ აღწევენ მახასიათებელი წირები და სადაც ამონახსნი არ განისაზღვრება. ამ ამოცანებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 2 სატატია (დანართი 1, [6, 7]).

ნაშრომში [6] შესწავლილია კოშის ამოცანა მეორე რიგის პარაბოლურად გადაგვარებადი კვაზიწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის. დადგენილია საკმარისი პირობები საწყისი მონაცემების მიმართ, რომლებიც ამოცანის განსაზღვრის არეში ამოხსნის არარსებობის ქვეარეების წარმოქმნას უზრუნველყოფენ.

ნაშრომში [7] შესწავლილია მახასიათებელი არალოკალური ამოცანის არაწრფივი ვარიანტი მეორე რიგის წრფივმახასიათებლებიანი კვაზიწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის. დამტკიცებულია თეორემები ამოხსნის არსებობისა და ერთადერთობის შესახებ.

ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით იბეჭდება აგრეთვე 5 სტატია (დანართი 1, [36–40]):

ნაშრომში [36] შესწავლილია კოშის ამოცანა შეკრულ მზიდზე მეორე რიგის პარაბოლურად გადაგვარებადი კვაზიწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის. განხილულია შემთხვევებიც, როცა ამონახსნის განსაზღვრის არეში ე.წ. „შეუღწევადობის ქვეარეები“ წარმოიქმნება.

ნაშრომში [37] არაწრფივი რხევების ცნობილი განტოლებისათვის განხილულია ერთი არაწრფივი საწყის-მახასიათებელი ამოცანა, რომლის მიხედვითაც ერთდროულად უნდა განისაზღვროს ამოცანის რეგულარული ამონახსნი და მისი გავრცელების არეც. დასმული ამოცანის ამოხსნადობის საკითხის შესასწავლად გამოყენებულია მახასიათებელთა მეთოდი.

ნაშრომში [38] არაწრფივი რხევების ცნობილი განტოლებისათვის შესწავლილია გურსას საწყის-მახასიათებელი ამოცანის ერთი არაწრფივი ვარიანტი, რომლის მიხედვითაც ერთდროულად უნდა განისაზღვროს ამოცანის რეგულარული ჰიპერბოლური ამონახსნი და მისი გავრცელების არე. აღწერილია ამ არეთა

სტრუქტურული თვისებები განტოლების რიგის გადაგვარების წერტილთა სიახლოვემდე.

ნაშრომში [39] შესწავლილია დარბუს ტიპის არალოკალური ამოცანა მეორე რიგის წრფივმახასიათებლებიანი კვაზიწრფივი დიფერენციალური განტოლებისათვის.

7. მიმდინარეობდა დრეკადობის თეორიის დინამიკური ამოცანების კვლევა. განხილულია შედგენილ დრეკად ზოლში ბზარის გავრცელების ამოცანა ძვრის დეფორმაციის პირობებში. ამოცანა ამოხსნილია ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნისა და ვინერ-ჰოფის მეთოდის გამოყენებით. დადგენილია ძაბვის ინტენსივობის კოეფიციენტი.

ამ ამოცანებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა 1 სტატია (დანართი 1, [8]), რომელშიც ფურიეს ინტეგრალური გარდაქმნისა და ვინერ-ჰოპფის მეთოდის გამოყენებით ამოხსნილია შედგენილ დრეკად ზოლში ბზარის გავრცელების ამოცანა ძვრის დეფორმაციის პირობებში. დადგენილია ძაბვის ინტენსივობის კოეფიციენტი.

8. შემოთავაზებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება საარჩევნო პროცესში. ტენდენციური საარჩევნო გარემო დამახასიათებელია მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის. საკუთარი ამომრჩევლის ხმების დასაცავად საარჩევნო სუბიექტებისთვის შემოთავაზებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების ერთი გამოყენება მომსახურებათა სრული პაკეტის სახით. ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდა სტატია [9], შესაბამისი მოხსენება გაკეთდა კონფერენციაზე (დანართი 1, [9]; დანართი 2, [2]). ძირითად იდეას წარმოადგენს შესაძლო მოვლენების (მათ შორის დარღვევების) აღწერა და მათი სწრაფი გადაცემა-გავრცელება დანიშნულებისამებრ. შექმნილია აღნიშნული პროცესის სრული მოდელი, რომელიც შედგება 4 ძირითადი მოდულისგან.

სამეცნიერო გრანტები

განყოფილების მეცნიერ თანამშრომელი მ. მენტეშაშვილი მონაწილეობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო სამეცნიერო ფონდის გრანტში: FR/507/4-150/11,

„ინფოკომუნიკაციური ქსელების საიმედოობრივი დაგეგმვის (სტრუქტურული მართვის) ახალი ნახევრადმარკოვული მოდელები“, 2012–2014.

საანგარიშო წელს გრანტის ფარგლებში შეიქმნა რთული სისტემის ექსპონენტური მოდელი, შესაბამისი დიფერენციალურ განტოლებათა სისტემა დაყვანილი იქნა ინტეგრალურ განტოლებამდე.

განყოფილების თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 11 ნაშრომი, იბეჭდება 7 ნაშრომი (დანართი 1, [1-11], [35-41]).

განყოფილების თანამშრომლებმა 6 მოხსენებით მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო კონფერენციებში (დანართი 2, [1, 2, 7, 15, 18, 19]).

აღბათურ - სტატისტიკური მეთოდების განყოფილება

(განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვ. ტარიელაძე)

2012 წელს განყოფილებაში კვლევები მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებებით:

1. დიაგონალურად და უპირობოდ კანონიკური გაუსის შემთხვევითი ელემენტები. აკადემიკოს ნიკოლოზ ვახანიას დაბადებიდან 80 წლისთავს მიეძღვნა სტატია, სადაც სხვა საკითხებთან ერთად განხილულია ნ. ვახანიას მიერ სამეცნიერო სემინარზე დასმული ერთი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა საკმაოდ პრობლემატური აღმოჩნდა. ამოცანა შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ვთქვათ X არის ერთ-ერთი შემდეგი სივრცეებიდან $l_p, 1 \leq p < \infty$, ან c_0 და ვთქვათ η არის გაუსის შემთხვევითი ელემენტი მნიშვნელობებით X -ში. არსებობს თუ არა დამოუკიდებელ კომპონენტებიანი გაუსის შემთხვევითი ელემენტი ξ მნიშვნელობებით X -ში და წრფივი უწყვეტი გადასახვა $B: X \rightarrow X$ ისეთი, რომ თითქმის ნამდვილად $B\xi = \eta$, ან $B\xi$ -ს გააჩნია ისეთივე განაწილება, რაც η -ს? ამ შეკითხვაზე გაცემულია უარყოფითი პასუხი იმ შემთხვევაში, თუ $X = l_p, 1 \leq p < \infty, p \neq 2$, ან $X = c_0$. გარდა

ამ ამოცანისა, შაუდურის ბაზისიან ბანახის სივრცის შემთხვევაში ნაშრომში შემოტანილია დიაგონალურად-კანონიკური გაუსის შემთხვევითი ელემენტის ცნება და შესწავლილია დიაგონალურად-კანონიკური გაუსის შემთხვევითი ელემენტები $L_p, 1 \leq p < \infty$, და c_0 სივრცეებში. ნაშრომი იბეჭდება (დანართი 1, [42]).

2. შემთხვევითი მწკრივების კრებადი გადანაცვლებების არსებობის საკითხის შესწავლა. გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და განრიგების თეორიაში. საანგარიშო წელს ამ მიმართულებით გამოქვეყნდა 5 სტატია, იბეჭდება 1 და მომზადებულია გადასაცემად 1 სტატია (იხ. დანართი 1, [13 – 17], [43], [50]). მითითებულ ნაშრომებში შესწავლილია: გადანაცვლების თეორემის მართებულობის საკითხი უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეებში; შემთხვევითი მწკრივების კრებადობის და ვექტორული ფუნქციის ფურიეს წკრივის თანაბრად კრებადი გადანაცვლების არსებობის ამოცანები; გარსიას ტიპის უტოლობები; უნივერსალური მწკრივები და ა.შ.

აღნიშნული მიმართულება წარმოადგენს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის, GNSF/ST08/3-384, პრობლემატიკას (იხ. ქვემოთ)

3. სტოქასტური ტიპის რიმან - სტილტესის ინტეგრალის კვლევა უსასრულოგანზომილებიან შემთხვევაში. ნაშრომში (იხ. დანართი 1, [23]) შემოთავაზებულია მიდგომა, რომელიც ეყრდნობა შემდეგ ჰიპოთეზას: ტურბულენტური გარემოს ნებისმიერ ფიქსირებულ წერტილში ე. წ. სიჩქარის პულსაციათა რაოდენობა არის მთელმნიშვნელობიანი დამოუკიდებელ ნაზრდებიანი პროცესი (პუასონის პროცესი), რომელიც იშლება ორ პუასონის პროცესად. "უმნიშვნელო" პულსაციების შესაბამისი ტრაექტორიები აღიწერება სტოქასტური ინტეგრალით ვინერის პროცესიდან, ხოლო "მნიშვნელოვანი" პულსაციების შესაბამისი პუასონის პროცესიდან სტოქასტური ინტეგრალით მიიღება ახალი დამოუკიდებელ ნაზრდებიანი პროცესი, რომლიდანაც სტოქასტური ინტეგრალით გამოითვლება სიჩქარის მნიშვნელობა ტრაექტორიის მოცემულ წერტილში და დროის მოცემულ მომენტში, რაც გვაძლევს ტრაექტორიის განტოლების დაწერის საშუალებას.

საანგარიშო პერიოდში აგრეთვე მიმდინარეობდა მუშაობა ორი მიმართულებით: წრფივი სტოქასტური დიფერენციალური განტოლების ამოხსნა ბანახის სეპარაბელურ სივრცეში; ვინერის პროცესის განსაზღვრების ანალიზი ბანახის სივრცეში და ბუნებრივი განზოგადოებები. ორივე მიმართულებით მზადდება სტატიები გამოსაქვეყნებლად.

4. საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მუშაობა შემდეგი მიმართულებებით:

ა) კლასიკური ჯგუფების გეომეტრია რგოლებზე. ამ პრობლემატიკაში

ძირითადია გეომეტრიული ასახვების (კოლინეციები, ჰარმონიული ასახვები, პერსპექტივები) წარმოდგენა (ნახევრად) წრფივი ფუნქციებით. ასეთი სახის თეორემები (ჟ. დიედონეს გაგებით) იწოდება გეომეტრიული ალგებრის ძირითად თეორემებად. დამტკიცებულია აფინური გეომეტრიის ძირითადი თეორემა ინვარიანტული ბაზისის მქონე რგოლებზე განსაზღვრული თავისუფალი მოდულებისთვის; აგრეთვე, მთავარ იდეალთა რგოლებზე განსაზღვრული მოდულებისათვის პერსპექტიული ასახვების წარმოდგენა წრფივი ფუნქციებით (პროექციული გეომეტრიის პირველი ძირითადი თეორემა)

ბ) ფონ ნეიმანის კოორდინატიზაციის პრობლემა. შესწავლილია ფონ ნეიმანის კოორდინატიზაციის პრობლემა ფაქტობრივი რგოლებისათვის. აგებულია აქსიომათა სისტემა და მიღებულია ქვემოთმოწოდებული მესერის გეომეტრიული ინტერპრეტაციები.

გ) ლის ალგებრათა მესერული იზომორფიზმები. შესწავლილია ლის ალგებრათა მესერული იზომორფიზმები და დამტკიცებულია პროექციული გეომეტრიის ძირითადი თეორემა თავისუფალი, 2-კლასის ნილპოტენტური და თავისუფალი პოლინილპოტენტური ლის ალგებრებისათვის.

ამ თემატიკას ეხება გამოქვეყნებული 9 სტატია და დასაბუჟდად გადაცემული 2 მონოგრაფია (დანართი 1, [24-32], [61, 62]). ავტორის, პროფესორ ა. ლაშხის რედაქტორობით 2012 წელს უერნალში “Contemp. Math. Its Appl., J. Math. Sci. (New York)” გამოქვეყნდა “Proceedings of the International Conference Modern Algebra and Its Applications” 5 ნომერი (დანართი 1, [63, 67]).

2012 წელს გამოქვეყნებული შრომების მოკლე ანოტაციები

ნაშრომში [12] მოცემულია დარმუა-სკიტოვიჩის თეორემის ელემენტარული დამტკიცება იმ შემთხვევაში, როცა წრფივი ფორმები შედგენილია მხოლოდ ორი, კომპლექსური ან კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდეებისაგან. თეორემას მტკიცდება პოიას თეორემის გამოყენებით კომპლექსური და კვატერნიონული შემთხვევითი სიდიდეებისათვის.

ნაშრომში [13] დამტკიცებულია, რომ გადანაცვლების თეორემა არ არის მართებული უსასრულოგანზომილებიან ბანახის სივრცეებში.

ნაშრომში [14] ნაპოვნია შესაკრებთა ნულისკენ კრებადობის საკმარისი პირობა მაშინ, როდესაც შემთხვევით სიდიდეთა ორი მიმდევრობა იკრიბება ნულისკენ. ნაპოვნი პირობა უფრო სუსტია ვიდრე ანალოგიური პირობები ლოვეის მონოგრაფიასა და მარტიკაინენის სტატიაში. მიღებული შედეგი აგრეთვე გამოყენებულია კონტრმაგალითის ასაგებად გადანაცვლებული მწკრივის თითქმის ყველგან კრებადობის ამოცანასთან კავშირში.

ნაშრომში [15] მიღებულია გარსიას უტოლობის ერთი განზოგადება და მოძებნილია ვექტორული ფუნქციის ფურიეს მწკრივის თანაბრად კრებადი გადანაცვლების არსებობის საკმარისი პირობა.

ნაშრომში [16] დამტკიცებულია უნივერსალური მწკრივის არსებობა ბანახის სეპარაბელურ სივრცეში. აგებულ მწკრივს გააჩნია დამატებითი მახასიათებლები.

ნაშრომში [17] აღწერილია კომპლექსური რიცხვებისაგან შედგენილი უნივერსალური მწკრივების ერთი კლასი.

ნაშრომში [18] მიღებულია ინტეგრალური უტოლობა, რომელიც ამყარებს კავშირს ალბათური ზომის სხვადასხვა მომენტებს შორის.

ნაშრომში [19] განსაზღვრულია დანჟუა-ლუზინის სისტემის ცნება და დახასიათებულია დანჟუა-ლუზინის სისტემები. გარდა ამისა, დამტკიცებულია, რომ თუ (ξ_k) არის დანჟუა-ლუზინის სისტემა და (x_k) არის X ბანახის სივრცის ელემენტთა უსასრულო მიმდევრობა, მაშინ $\sum_{k=1}^n x_k \xi_k$ მწკრივის თითქმის ნამდვილად უპირობო კრებადობიდან გამომდინარეობს $\sum_{k=1}^n x_k$ მწკრივის კრებადობა X -

ში. აგრეთვე დამტკიცებულია, რომ ანალოგიური შედეგი აბსოლუტური კრებადობის სისტემისათვის სამართლიანია მხოლოდ სასრულ განზომილებიან სივრცეებში.

ნაშრომში [20] ასახულია პროფესორ დავით კვესელავას ცხოვრება და მოღვაწეობა. აღწერილია და გაანალიზებულია მისი სამეცნიერო შედეგები.

ნაშრომში [21] ნაჩვენებია, რომ მეტრიკული ტოპოლოგიური ჯგუფებისთვის TAP, HTAP და STAP თვისებები შეიძლება დახასიათდეს ჯგუფის ნეიტრალური ელემენტის მიდამოების ტერმინებში.

ნაშრომში [22] მოქმენილია ფართო კლასი აბელის მეტრიკული პრეკომპაქტური ჯგუფებისა, რომლებიც არ არიან მაკის ლოკალურად კვაზი-ამოზნექილი ჯგუფების კატეგორიაში.

ნაშრომში [23] მიღებულია სტოქასტური დიფერენციალური განტოლება, რომელიც აღწერს ტურბულენტურ დიფუზიას.

სამეცნიერო გრანტები

1. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი GNSF/ST09_99_3-104 – “აღბათური განაწილებების დახასიათების ამოცანები და მათი გამოყენებები”.

საანგარიშო პერიოდში გრძელდებოდა გრანტზე მუშაობა. დამტკიცდა სუბგაუსის ნაზრდებიანი სტოქასტური პროცესების ტრექტორიების უწყვეტობა და სტოქასტური ინტეგრალის არსებობა. T-სუბგაუსის და F-სუბგაუსის შემთხვევითი ელემენტებისათვის დამტკიცდა ექსპონენციალური ინტეგრებადობა (დანართი 2, [11]). სუსტად დამოუკიდებელი შემთხვევითი ელემენტებისათვის ჰილბერტის სივრცეში დამტკიცდა დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონი, რომელიც განაზოგადებს გასული საუკუნის ოციან წლებში ცნობილი რუსი მათემატიკოსის ხინჩინის მიერ მიღებულ ერთ-ერთ შედეგს. სუსტი ვინერის პროცესისათვის მიღებული იქნა კარუნენ-ლოვეის ანალოგიური წარმოდგენა

2. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტი GNSF/ST08/3-384 – ”მაქსიმალური უტოლობები გადანაცვლებებისთვის, გამოყენებები ფუნქციონალურ ანალიზსა და დაგეგმვის თეორიაში”.

საანგარიშო პერიოდში დასრულდა გრანტზე მუშაობა. გამოქვეყნდა გრანტის თემატიკით განსაზღვრული 5 სტატია, იბეჭდება 1 და მომზადებულია გადანაცვლად 1 სტატია (დანართი 1, [13-17], [43], [50]). სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთდა 3 მოხსენება (დანართი 2, [4, 9, 10]).

3. ს. ჩობანიანი. ინდივიდუალური გრანტი ISET-ში (International School of Economics at Tbilisi State University) ლექციების კურსის წასაკითხად. დონორი ორგანიზაცია: The Partnership for Economics, Education and Research Consortium.

განყოფილების თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 21 სტატია, იბეჭდება 2 სტატია და 2 მონოგრაფია, მომზადებულია 1 სტატია (იხ. დანართი 1, [12-32], [51, 52], [59], [61, 62]).

სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთდა 11 მოხსენება (დანართი 2, [2 – 4, 8 –13, 16, 17]).

აღნიშნული ამოცანები სისტემატურად იხილებოდა განყოფილების მუდმივმოქმედ სამეცნიერო სემინარზე.

მათემატიკური მოდელირების განყოფილება

(განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დ. უგულავა)

2012 წელს განყოფილებაში კვლევები ჩატარდა მიკროეკონომიკის დინამიკურ ამოცანებზე, კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის ცენტრალური ალგორითმის შედგენის, კრიპტოგრაფიაში ელიფსურ განტოლებათა თეორიის გამოყენების და სოციალური შინაარსის ამოცანებზე. თემის დასახელებაა სოცია-

ლური და ეკონომიკური ამოცანების მათემატიკური მოდელირება და შესაბამისი გამოთვლითი მეთოდებისა და ოპტიმალური ალგორითმების დამუშავება.

საანგარიშო წელს დამუშავდა შემდეგი საკითხები:

1. გადაწყვეტილებათა მარკოვის პროცესები ნაკადთა მრავალარხიანი სისტემების მართვის ამოცანებში: დინამიკური პროგრამირების მეთოდის გამოყენება მარკოვის ტიპის პროცესებში პირველად შეისწავლა რ. ბელმანმა და მეთოდს ეწოდა “გადაწყვეტილებათა მარკოვის პროცესები”. თემის შემსრულებლების მიერ ეს მიდგომა გამოყენებული იქნა მასობრივი მომსახურებისა და მარაგთა ოპტიმალური მართვის თეორიების მრავალარხიანი ამოცანებისათვის, რომლებშიც მომსახურების წესი ისეთია, რომ პროცესი აღიწერება მარკოვის ჯაჭვებით. ოდელი დინამიკურია, დისკრეტული ცვლადებით, შემომავალი ნაკადები შემთხვევითაა ცნობილი დისკრეტული განაწილებებით. მოდელი კერძოდ მიესადაგება ისეთ სისტემებს, რომლებშიც აღინიშნება სეზონური ხასიათის ციკლური პროცესები. ასეთი ამოცანაა, მაგალითად, წყალსაცავიანი ჰიდროელექტროსადგურის რეჟიმების ოპტიმალური მართვა. ამ ამოცანისათვის ჩამოყალიბებულია მოდელი, რომელშიც მდინარის ჩამონადენის დისკრეტულ განაწილებაზე დაყრდნობით აიგება გადასვლის ალბათობათა მატრიცა და ამოცანა პრაქტიკულად მარტივად ამოხსნადია.

2. ინტეგრირებული საწარმოს ოპტიმალური ფუნქციონირების ეკონომიკურ – მათემატიკური მოდელი არასრული ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში: განხილულია ისეთი ინტეგრირებული საწარმოს ოპტიმალური ფუნქციონირების ეკონომიკურ–მათემატიკური მოდელი, რომელიც აწარმოებს, ამუშავებს და ბაზარზე სარეალიზაციოდ გააქვს მალფუჭებადი პროდუქცია. თუ ეს პროდუქცია არ იქნა რეალიზებული გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ის კარგავს თავის ვარგისიანობას (ხარისხს) და მისი შენახვა, ანუ მარაგის შექმნა ეკონომიკურად გაუმართლებელია. რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში სარეალიზაციო ბაზარზე პროდუქციაზე მოთხოვნის მოცულობები არის შემთხვევითი სიდიდეები, მიზანშეწონილია განვიხილოთ არა გარანტირებული მოგების, არამედ მოსალოდნელი მოგების მაქსიმუმები. მოცანის მათემატიკური ფორმალიზაციის მეშვეობით შესწავლილია წარმოებული პროდუქციის იმ ოპტიმალური მოცულობის გან-

საზღვრის ამოცანა, რომელიც საწარმომ უნდა აწარმოოს და გაიტანოს ბაზარზე სარეალიზაციოდ, რათა მოსალოდნელი მოგება იყოს მაქსიმალური.

3. ზოგიერთი სტატისტიკური მეთოდის გამოყენება ქ. თბილისის მაგალითზე ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის მრავალწლიანი პროგნოზირებისთვის: თემა ეხება ჰაერის ტემპერატურის ცვლილების მოსალოდნელ შეფასებას 2056 წლამდე. თემასთან დაკავშირებით მოპოვებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე შეიქმნა კომპიუტერული ბაზა. სამუშაოს ანალიზისათვის გამოყენებული იქნა სამი სტატისტიკურ – პროგნოსტული მეთოდი: ჰაერის ტემპერატურის წრფივი ზრდის და მისი ნდობის ინტერვალების პროგნოზირების მეთოდი; გაგლუვებული ფუნქციების პროგნოზირების მეთოდი ორი პერიოდულობის გათვალისწინებით; წრფივი პროგნოზირების მეთოდი.

4. კრიპტოგრაფიის ზოგიერთი ამოცანის შესწავლა სპეციალური ელიფსური წირების თვისებების გამოყენებით: გაგრძელდა 2011 წელს დაწყებული კვლევა კრიპტოგრაფიაში ელიფსური წირების გამოყენებასთან დაკავშირებით. სპეციალურ ელიფსურ წირად აღებულია ე.წ. განზოგადებულ კონგრუენტულ რიცხვებთან დაკავშირებული წირები. წირის სპეციფიკას გარკვეული სიახლე შეაქვს ღია გასაღებიანი ცნობილი (დიფი-ჰელმანი, ელ-გამაი და სხვ.) მეთოდების რეალიზაციაში. კვლევისას განხილული იყო წირების ზოგად სასრულო ველებზე რედუქციების შემთხვევები.

5. წრფივი განზოგადებულად ცენტრალური ალგორითმი კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანისათვის: აგებულია კომპიუტერული ტომოგრაფიის წრფივი განზოგადებული ცენტრალური ალგორითმი. ამ მიზნით შემოყვანილია განზოგადებული სპლაინის და განზოგადებულად ცენტრალური ალგორითმის ცნებები. მიღებულია პირობები იმისა, რომ განზოგადებულად სპლაინური ალგორითმი იყოს წრფივი და განზოგადებულად ცენტრალური. განხილულია მაგალითები ოპერატორებისა, რომლებსაც გააჩნია სინგულარული დაშლა და აკმაყოფილებენ მიღებული თეორემების პირობებს. კერძოდ, აგებული და შესწავლილია განზოგადებულად ცენტრალური სპლაინური ალგორითმი კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანასთან დაკავშირებით. შემოყვანილია გარკვეული თვალადად ფრეშე-ჰილბერტის სივრცე და ამ სივრცის თავისთავზე ამსახავი წრფივი იზომორფული

ოპერატორი. განხილულია ამ ოპერატორის შემცველი განტოლება, რომლის ამონახსნები წარმოადგენენ კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანის ამოხსნას.

პროგრამისტები ლ. ხაჭაპურიძე და ნ. მეტონიძე მუშაობდნენ მატრიცულ თამაშთა ამოხსნის ახალი ალგორითმის პროგრამის შედგენაზე.

2012 წელს გამოქვეყნებული შრომების მოკლე ანოტაციები

ნაშრომში [33] განხილულია რამოდენიმე მოთამაშის დიადური არაკოოპერატიული თამაშის მოდელი მოთამაშეთა ერთი და იმავე სტრატეგიების სიმრავლეებისათვის. შემოტანილია გამაწონასწორებელი სიტუაციის განსაზღვრება შერეულ სტრატეგიებში, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს წონასწორობის სიტუაციას. დამტკიცებულია თეორემა, რომელიც ადგენს მოცემულ არაკოოპერატიულ თამაშში მაწონასწორებელი სიტუაციის არსებობის პირობებს.

ნაშრომში [34] განხილულია ნაკადთა მართვის მრავალარხიანი ამოცანა. მათემატიკური მოდელი აგებულია დინამიური პროგრამირების, კერძოდ მარკოვის გადაწყვეტილებათა პროცესის პრინციპის გამოყენებით.

ნაშრომში [35] განხილულია მდინარის ჩამონადენის წყალსაცავით რეგულირების ამოცანა. წყალსაცავში წყლის რაოდენობა ეტაპობრივად შემთხვევითია და დამოკიდებულია როგორც ჩამონადენზე, ასევე მოხმარებაზე. იგი ჩამონადენების დამოუკიდებლობის გამო წარმოადგენს მარკოვის ჯაჭვს, რომელიც კარგად აღწერება გადასვლათა ალბათობის მატრიცით. მათემატიკური მოდელი ჩამოყალიბებულია გადაწყვეტილებათა მარკოვის პროცესების ჩარჩოებში.

ნაშრომში [36] განხილულია მათემატიკური ეკონომიკის ერთი დინამიური ამოცანა – კონკურენცია ორი გამყიდველით და ერთი მყიდველით. კონკურენცია აღწერილია თამაშთა თეორიის ჩარჩოებში. განხილულია ორი მიდგომა – ანტიგონისტური და კოოპერაციული. ამოხსნები შესაბამისად მიღებულია წმინდა სტრატეგიებში და ნეში და შეპლის ფორმით. რიცხვითი რეალიზაცია ჩატარებულია დინამიური პროგრამირების მეთოდით.

ნაშრომი [37] ეხება საბაზრო ეკონომიკის პირობებში სარეალიზაციო ბაზარზე პროდუქციაზე მოთხოვნის მოცულობების განსაზღვრის ამოცანას, სადაც მოცულობები განხილულია როგორც შემთხვევითი სიდიდეები. ამოცანის მათემა-

ტიკური ფორმალიზაციის მეშვეობით შესწავლილია წარმოებული პროდუქციის იმ ოპტიმალური მოცულობის განსაზღვრის ამოცანა, რომელიც საწარმომ უნდა აწარმოოს და გაიტანოს ბაზარზე სარეალიზაციოდ, რათა მოსალოდნელი მოგება იყოს მაქსიმალური.

ნაშრომი [38] ეხება ჰაერის ტემპერატურის ცვლილების მოსალოდნელ შეფასებას 2056 წლამდე. მოპოვებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე შექმნილია კომპიუტერული ბაზა. ანალიზისათვის გამოყენებულია სამი სტატისტიკურ – პროგნოსტული მეთოდი: ჰაერის ტემპერატურის წრფივი ზრდის და მისი ნდობის ინტერვალების პროგნოზირების მეთოდი; გაგლუვებული ფუნქციების პროგნოზირების მეთოდი ორი პერიოდულობის გათვალისწინებით; წრფივი პროგნოზირების მეთოდი.

ნაშრომში [39] შესწავლილია წრფივი პრობლემები უარესი დასმის შემთხვევისათვის, როდესაც ცდომილება გაზომილია მეტრიკის საშუალებით. შემოდებულია განზოგადებული სპლაინური და განზოგადებულად ცენტრალური ალგორითმის ცნებები. მიღებულია პირობები იმისა, რომ განზოგადებულად სპლაინური ალგორითმი იყოს წრფივი და განზოგადებულად ცენტრალური. შემოყვანილია გარკვეული თვლადად ფრეშე-ჰილბერტის სივრცე და ამ სივრცის თავისთავზე ამსახავი წრფივი იზომორფული ოპერატორი. განხილულია ამ ოპერატორის შემცველი განტოლება, რომლის ამონახსნები წარმოადგენენ კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანის ამოხსნას.

ნაშრომში [40] შემოყვანილია გარკვეული თვლადად ფრეშე – ჰილბერტის სივრცე და ამ სივრცის თავისთავზე ამსახავი წრფივი იზომორფული ოპერატორი. განხილულია ამ ოპერატორის შემცველი განტოლება, რომლის ამონახსნები წარმოადგენენ კომპიუტერული ტომოგრაფიის ამოცანის ამოხსნას.

განყოფილების თანამშრომელთა მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნდა 8 ნაშრომი, იბეჭდება 2 ნაშრომი, მომზადებულია 1 ნაშრომი (იხ. დანართი 1, [33-40], [53, 54], [60]).

სამეცნიერო კონფერენციებზე გაკეთდა 2 მოხსენება (დანართი 2, [17, 20]); განყოფილებაში მუშაობს ორი მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი, რომლებსაც ხელმძღვანელობენ ჯ. გიორგობიანი და ნ. კანდელაკი.

პროგრამირებისა და ინფორმატიკის განყოფილება

(განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ჰ. მელაძე**)

2012 წელს განყოფილებაში კვლევები მიმდინარეობდა შემდეგი მიმართულებებით:

1. სხვაობიანი ფაქტორიზებული სქემები შერეული სასაზღვრო ამოცანებისთვის. განხილულია შერეული სასაზღვრო ამოცანა პირველი გვარის სასაზღვრო პირობებით პარაბოლური ტიპის კერძოწარმოებულიანი განტოლებათა მრავალგანზომილებიანი სისტემებისათვის. აგებულია აბსულუტურად მდგრადი სხვაობიანი ფაქტორიზებული სქემები. ამ მიმართულებით გამოქვეყნდა 1 ნაშრომი, გადაცემულია გამოსაქვეყნებლად 1 ნაშრომი (დანართი 1, [41], [55])

2. საანგარიშო პერიოდში განყოფილების მეცნიერთა ჯგუფი მუშაობდა შემდეგი მიმართულებებით:

ახალი კრიპტოგრაფიული სისტემის აგება და მისი პროგრამული რეალიზაცია: აგებულია სიმეტრიული დაშიფვრის კრიპტოგრაფიული სისტემა, სადაც გასაღების სიგრძე შეადგენს 128 ბიტს. განხორციელებულია მისი პროგრამული რეალიზაცია. ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობდა აგრეთვე არასიმეტრიული (ღია გასაღებით) სისტემის შექმნაზე.

კონფლიქტის მართვის ზოგადი ინფორმაციული მოდელი: აგებულია ერთი საქონლის ბაზრის ქსელური მოდელის გამოყენებით კონფლიქტის მართვის უნივერსალური მოდელი, სადაც კონფლიქტში მონაწილე მხარეების ინტერესების გათვალისწინებით შესაძლებელია ოპტიმალური გარიგება ან კონფლიქტის გეგმაზომიერი მართვა.

